ხელშეკრულება №58/24
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 1 ნოემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ვადაჭკორიას სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი იმედა ბოკელავაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი:** (შემდგომში „მომსახურება") **სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის საჯარო სკოლის აუქციონის მომზადება და eauction.ge-ზე ატვირთვა.**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **40 (ორმოცი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის შემდეგ ხელმოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის მომზადების და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის შემდეგ.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 ოქტომბრამდე.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულება ძალაში შედის 31/10/2013 - დან და მოქმედებს 30/11/2013 - მდე

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გვიშტიბის საჯარო სკოლა	შ.პ.ს. „შესყიდვებისა და მომსახურების ცენტრი
მის: ქ.წყალტუბო, სოფ. გვიშტიბი	მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. № 26
საიდენტიფიკაციო კოდი 221291527	საიდენტიფიკაციო კოდი 412676938
სს. „საქართველოს ბანკი"	ს/ს„ლიბერთი ბანკის" წყალტუბო 452
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE21BG0000000119460200	ა/ა № GE57LB0113142162623000
დირექტორი: ნინო ვადაჩკორია	დირექტორის : იმედა ბოკელავაძე